## მეექვსე კლასი

**ჯამური ქულა:** 100
**საკითხების რაოდენობა:** 40

ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსაგან. თითოეული ამოწმებს მოსწავლის წერის, კითხვის, გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას.

## #1 წაკითხულის გააზრება - Reading Comprehension

**ქულა:** 10
**საკითხი:** 5 (თითო 2 ქულა)

მოსწავლეს შეხვდება მოკლე მარტივი ტექსტი ციფრულ ფინასებზე. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მან უნდა შეარჩიოს სწორი პასუხი თითოეულ კითხვაზე სამი მოცემული ვარიანტიდან (A, B ან C).

სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის წაკითხულის გააზრების, ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანისა და დეტალებზე დაკვირვების უნარს.

## #2 გრამატიკა - Grammar

**ქულა:** 30
**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

მეორე სავარჯიშო ამოწმებს საბაზისო გრამატიკულ ცოდნასა და სიტყვების სწორად გამოყენების უნარს წინადადებაში.
მოსწავლემ უნდა შეავსოს წინადადებები სწორი ფორმებით – არჩეული ვარიანტებიდან.
სავარჯიშო მოიცავს ზმნის დროთა, ზმნიზედებისა და ზედსართავების სწორად გამოყენების ცოდნას.

**მაგალითი:**

She ... to work by bus.
A. go B. goes C. going
**სწორია:** B. goes

## #3 ლექსიკა -Vocabulary

**ქულა:** 30
**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

ეს ნაწილი ამოწმებს მოსწავლის ლექსიკურ მარაგს. კითხვები მოიცავს ყოველდღიურ თემებს – ჰობი, ოჯახი, ამინდი, ცხოველები, საგნები და მოქმედებები.

**მაგალითი:**

I am ... at English.
A. good B. well C. badly
**სწორია:** A. good

## #4 ზოგადი ცოდნა და სიტყვათა განმარტებები - General Knowledge and Vocabulary Match

**ქულა:** 30
**საკითხი:** 15 (თითო 2 ქულა)

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სწორი სიტყვა აღწერის მიხედვით. სავარჯიშო ამოწმებს სიტყვების მნიშვნელობების ცოდნას, თემატურ ლექსიკას და ლოგიკურ აზროვნებას.

**მაგალითი:**

He plays music. He is a ...
A. musician B. writer C. painter
**სწორი პასუხია:** A. musician

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია** — 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. ეს ნაწილი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ პროფილებში შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი კურსი.

მოსამზადებელ კურსს აქვს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა**.
მოსწავლეს ეძლევა **1 საათი** ტესტის შესასრულებლად.
მთავარი უპირატესობაა ის, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისათვის